დანართი 2

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული
სააგენტოს ორგანოს
2025 წლის 28 ---------- №260/ 6 "
ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო აცხადებს ,,ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და "გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონულ აუქციონს, ვებ-გვერდის (www.eauction.ge) მეშვეობით. გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150; ტელ. 032 2 43 95 10 /032 2 439526
ელ–ფოსტა	info@nea.gov.ge
სარგებლობის ლიცენზიის სახე	ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია.

მოთხოვნები და პირობები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ლიცენზიის მფლობელი პირი ვალდებულია: ა) ყოველწლიურად, თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების დაწყებამდე არაუგვიანეს 31 მარტისა, შეატყობინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს: ა.ა) თეთრყვავილას მოპოვების უბნების სიტუაციური გეგმები, shp ფაილები, UTM –X,Y კოორდინატთა სისტემაში ზუსტი გრაფიკი მოპოვების უბნების მიხედვით, ინფორმაცია აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებული თეთრყვავილას ბოლქვების ოდენობის შესახებ და ამ ტერიტორიებიდან თეთრყვავილას მოსაპოვებელი ოდენობის შესახებ; ა.ბ.) ინფორმაცია მოსაპოვებელი ბოლქვების ზომის შესახებ და რესურსის მოპოვების გრაფიკი კონკრეტული უბნების მიხედვით. მოპოვების გრაფიკში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, მოპოვების დაწყებამდე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს სამინისტროს და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. ბ) 2027 წლიდან ყოველწლიურად, თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოადგინოს თითოეული ბოლქვების მოპოვების სამიზნე ტერიტორიისათვის რესურსის მოთხოვნილი მოცულობის ამოღების არასაზიანო მოპოვების კვლევის ანგარიში (ანგარიშის შექმნის მეთოდოლოგიური საფუძველი და ფორმატი ლიცენზიანტებისათვის მიწოდებული იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ) და მასზე დაფუძნებული შესაბამისი ექსპერტის/სპეციალისტის დადებითი დასკვნა, გარდა იმ უბნებისა (იხ. დანართი), რომელთათვის კვლევა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით და

	გაანგარიშდა თითოეული ასეთი უბნისათვის რესურსის ამოღების წლიური ლიმიტი. გ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების შემთხვევაში კონკრეტული ტერიტორიები უნდა შეუთანხმდეს შესაბამის მართვის ორგანოს. დ) არაუგვიანეს 2026 წლის 01 მაისისა, ფლობდეს ბოლქვების რეალიზაციისათვის მოსამზადებლად საჭირო ინფრასტრუქტურას: სათვლელ და კალიბრაციის დანადგარებს, ბოლქვების შესანახად ვარგის სათავსოს, რომელშიც შესაძლებელი იქნება საჭირო ტემპერატურისა და ტენიანობის შენარჩუნება. ე) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში ყოველწლიურად 30 დეკემბრამდე წარმოადგინოს შესაბამისი ანგარიში ფოტოდოკუმენტაციით: ე.ა.) თუ ლიცენზიის მფლობელი პირი ახორციელებს თეთრყვავილას ბოლქვების ამოღებას 1-დან 10-ის ჩათვლით უბანზე, მინიმუმ 1 შემთხვევით შერჩეულ უბანზე ანგარიშში თარიღის, უბნის და ამოღების ადგილის მინიმუმ ერთი x y კოორდინატები UTM კოორდინატთა სისტემაში მითითებით, უბანზე წარმოდგენილი ძირითადი ჰაბიტატი, ბოლქვების ამოღების ტერიტორიის ფართობი, ბოლქვების ამოღებისას გამოყენებული მეთოდი, ამოღებული ბოლქვების და უბანზე მომუშავე პერსონალის რაოდენობა. ე.ბ.) თუ ლიცენზიანტის მიერ ბოლქვების მოპოვება დაგეგმილია 11-დან 20-ის ჩათვლით უბანზე, მაშინ იგი ვალდებულია წარადგინოს მინიმუმ 2 შემთხვევითად შერჩეულ უბანზე ამოღების პროცესის დამადასტურებული ანგარიში; ე.გ.) თუ ბოლქვების ამოღება იგეგმება 21 და მეტ უბანზე, მაშინ ასეთი ანგარიშების რაოდენობა წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ 4 შემთხვევითად შერჩეული უბნებისათვის.

	ე.დ.) თეთრყვავილას ბუნებრივი პოპულაციებიდან მოპოვებული არასასაქონლო ბოლქვებისა და მოპოვების უბნებში მათი დაბრუნების პროცენტული რაოდენობისა და უბნების შესახებ, ფოტოდოკუმენტაციით; ე.ე.) ექსპორტის შემდეგ ინფორმაცია მოპოვების მეთოდის, ბოლქვების შენახვის, დახარისხების, გაშრობის, ტრანსპორტირების, დასაქმებული პირების ოდენობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის, მოპოვების ტერიტორიების, მოპოვების თარიღის/პერიოდის შესახებ, ასევე, სასაქონლო და არასასაქონლო ზომის ბოლქვების ფაქტობრივად მოპოვებული ოდენობების შესახებ. ანგარიშს უნდა დაერთოს შესაბამისი ფოტომასალა (მათ შორის მოპოვების ამსახველი). ვ) არასასაქონლო ზომის ბოლქვების მოპოვების შემთხვევაში, ბოლქვების კერძო საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე ჩათესვის საკითხი შეთანხმებული უნდა იქნას სამინისტროსთან. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამინისტროსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ წლიური ანგარიში. თ) დაიცვას თეთრყვავილას მოპოვების დასაშვები მოცულობა (კვოტა). ამასთან, კვოტის აუთვისებლობის შემთხვევაში, არ დაიშვება მომდევნო წლისათვის აუთვისებელი კვოტის დამატება.
სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ვორონოვის თეთრყვავილას ბოლქვი. მოსაპოვებელი რესურსის ყოველწლიური ოდენობა საერთო კვოტის 33,3%, მაგრამ არაუმეტეს წლიურად 5 000 000 (ხუთი მილიონი) თეთრყვავილას ბოლქვი (არაუმეტეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) კილოგრამი.)
სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების ადგილებად განისაზღვროს ქვეყნის მთლიანი ტერიტორია, გარდა დაცული ტერიტორიებისა

	და თანდართული თეთრყვავილას ბოლქვების მოპოვების აკრძალული ადგილებისა.
აუქციონის საწყისი ფასი	400 000 ლარი
ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	40 000 ლარი
უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10% თანხის ოდენობა + 100 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	40 100 ლარი
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	28/03/2025-25/04/2025
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	26/04/2025 12:00 – 26/04/2025 18:00
სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
სხვა სააუქციონო პირობები	1. აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის 20%-ის გადახდა აუქციონში გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, რომლის გადახდიდან 7 დღის ვადაში გაიცემა ლიცენზია. დარჩენილი თანხის გადახდა მან უნდა განახორციელოს 2026 წლიდან ყოველწლიურად ბოლქვების მოპოვების დაწყებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 31 მარტისა, აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის 20%-ის ოდენობით. თუ აუქციონში გამარჯვებული დაარღვევს თანხის გადახდის წესს, იგი ვალდებულია დარღვევის დღიდან ყოველ გადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო იმ პერიოდისათვის გადასახდელი (ვადაგადაცილებული) თანხის 1%-ის ოდენობით, ძირითადი თანხის გადახდის გადაცილებულ დღეთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 15 სამუშაო დღეს, ამავე ვადაში დაფარული უნდა იქნეს პირგასამტეხლოც, რომელთა გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შედეგების/ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.